”ვამტკიცებ”
აჭარის ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი ს. მელია

საკვალიფიკაციო ტურნირი II, III, IV და V სპორტულ თანრიგზე
26-27 სექტემბერი, 2026 წ.

დ ებ უ ლ ებ ა

1. **ტურნირის ორგანიზატორი:** აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;
2. **ტურნირის ფინანსური მხარდამჭერი:** აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

3. **ჩატარების დრო და ადგილი:** 26-27 სექტემბერი, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე. მის: ლეონიძის 15.

4. **ჩატარების სისტემა:** ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, ტურნირის სისტემას და ტურის დაწყების დროს განსაზღვრავს ორგანიზატორი.

5. **დროის კონტროლი:** თითოეულ მონაწილეს მიეცემა 15 წუთი პარტიის ბოლომდე.

6. **მონაწილენი:** ტურნირში დაიშვებიან საქართველოსა და მსოფლიოს საჭადრაკო ორგანიზაციის წევრი სპორტსმენები.

7. **რეგისტრაცია:** მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/9ZFNz8JM627qFUJT9

   რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2026 წლის 25 სექტემბერი, 19:00 საათი.
   დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში მონაწილის ტურნირში დაშვებას წყვიტავს ორგანიზატორი.
   რეგისტრაციაზე საკონტაქტო ნომერი - 558 118 683.

8. **ტურნირის განრიგი:**
   ტურნირის გახსნა: 26 სექტემბერი 12:30 სთ.
   I-II-III ტური ჩატარდება 26 სექტემბერს. I ტური დაიწყება 13:00 საათზე, ყოველი მომდევნო კი თითოეული ტურის დასრულების შემდეგ.
   IV-V-VI-VII ტური - 27 სექტემებრი, დასაწყისი 13:00 სთ.
   ტურნირის დახურვა: 27 სექტემბერი, 16:00 სთ.

9. **სატურნირო შესატანი:** 15 ლარი (უნაღდო ანგარიშწორებით).
   აჭარის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი”
   ანგარიშის ნომერი: **GE95BG 0000 000 3630 99200**

10. ჩემპიონატში მონაწილეობისათვის მოჭადრაკეებს გადახდილი უნდა ჰქონდეთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (დანართი 1)

11. **გამარჯვებულები:**

გამარჯვებულები გამოვლინდებიან ქულათა მეტი რაოდენობის მიხედვით.
თაი – ბრეიქი: ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ბუჰგოლცი -1 (უდაბლესის გამოკლებით);
2. ბუჰგოლცი;
3. ურთიერთშორის შეხვედრა;
4. მოგებების რაოდენობა;
5. პროგრესი (რეგრესით).

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

12. **დაჯილდოება:**

- I, II, III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლითა და დიპლომით.
- V თანრიგის ტურნირში, მოჭადრაკეები, რომლებიც დააგროვებენ 4 და მეტ ქულას მიენიჭებათ V სპორტული თანრიგის 1 ბალი.
- IV თანრიგის ტურნირში, მოჭადრაკეები, რომლებიც დააგროვებენ 4.5 და მეტ ქულას მიენიჭებათ IV სპორტული თანრიგის 1 ბალი.
- III თანრიგის ტურნირში, მოჭადრაკეები, რომლებიც დააგროვებენ 5 და მეტ ქულას მიენიჭებათ III სპორტული თანრიგის 1 ბალი.
- II თანრიგის ტურნირში, მოჭადრაკეები, რომლებიც დააგროვებენ 5.5 და მეტ ქულას მიენიჭებათ II სპორტული თანრიგის 1 ბალი.

ტურნირის სასტარტო სია რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ განთავსდება აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ვებ-გვერდზე **www.acf.ge**

ტურნირის დირექტორი: ფიდეს ასოცირებული ორგანიზატორი სალომე მელია